№ 96
კვირა, 9 მაისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 96
კვირა, 9 მაისი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ქარ. შ. წერ. კით. გამ. საზ.“ გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 9 მაისს, დიდუბის ეკლესიაში გარდახდილი იქმნება წლის წირვა განსვენებულის

## ალექსანდრე როინაშვილის

სულის მოსახსენებლად. (3—უ.—3)

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი:

## სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი

წერილი ილია ჭავჭავაძისა
„ივერიის“ რედაქციის გამოცემა.
**ფასი ერთი აბაზი**
ვისაც ქალაქ გარედ ჰსურს დაიბაროს ეს წიგნი, ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიას უნდა მიჰმართოს.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
**ი. თ. ზროტესევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
**ა. გ. გუკო.** 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:
**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.
**ბ. ა. ნავასარდიანი** 6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

## ტფილისის სახაზინო თეატრი

ხარკოვის დრამატიულ არტისტების საზოგადოების მიერ, ი. პ. სოლოვიოვის გამგეობით,
ორშაბათს, 10 მაისს,
**ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების** სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება:

## „ძველი დრო“

დრამა 5 მოქმედ., თხზ. ნ. ვ. შპაჟინსკისა.

და

## „A DISCRETION“

კომ. 1 მოქმ., ს. ო. რაზსოხინისა.

ბილეთების ყიდვა ამ თავითვე შეიძლება საზოგადოების თავმჯდომარე კნ. ა. ა. ამილახვართანა და საზოგადოების მდივან ი. ბ. ხალათოვთან. (2—59—2)

**სარევიზიო კომისია ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა** მოიწვევს წევრთ ამა ამხანაგობის საგანგებო კრებაზედ, 9 მაისს, 1899 წელსა, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში, განსახილველად და დასამტკიცებლად ამხანაგობის 1898 წ. წლიურის ანგარიშისა და სხვა საგნებისა, რომლების განხილვაც ჩვეულებრივმა კრებამ, შემდგარმა 21 აპრილს, ვერ მოასწრო, კრების თავმჯდომარის წყალობით. (5—6.—5)

## მთავრობის განკარგულებანი.

ებოძათ: კაპიტნობა შტაბს-კაპიტნებს სამეგრელოს გრენადერთა მე-16 რაზმისას თავ. დიმიტრი კონსტანტინეს ძე არჯევანიძეს; ბაქოს ქვეითა რაზმისას თავ. შალიკაშვილს; დარუბანდისას—თავ. ანდრონიკაშვილს; უუზანისას—აბესაძეს; სოხუმის სათადარიგო რაზმისას—შავლიაშვილს; გორისას—თავ. ვაჩნაძეს; უარსის მეცხოვრე ქვეითა რაზმისას—თავ. ვაჩნაძეს; შტაბს-კაპიტნობა—პორუჩიკებს: ფოთის სათადარიგო რაზმისას—ქავთარაძეს; კავკასიის მსროლელთა დრუჟინისას—გიორგი მახვილის ძე უზნაძეს და გვახარიას.

ებოძათ ორდენები: წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხისა, პოლკოვნიკს მე-39 არტილერიის ბრიგადის მე-2 დივიზიის უფროსს გიორგი მუსხელაშვილს; წმ. ანნას მე-2 ხარისხისა პოდპოლკოვნიკს მე-78 ქვეითა სანავოსნო რაზმისას—ალექსანდრე არდაზიანს; წმ. ანნასი მე 3 ხარისხისა—პოდპოლკოვნიკებს: ლორის სათადარიგო რაზმისას—ნესტორ უგრეხელიძეს; ნიჟეგოროდის დრაგუნთა მე-44 რაზმისას თავ. როსტომ წერეთელს; არტილერიის ბრიგადისას ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ლიონიძეს და ივანე ლოლობერიძეს; როტმისტრს დრაგუნთა მე-45 რაზმისას გიორგი კობიაშვილს; პორუჩიკს მე-79 კურანის რაზმისას გრიგოლ არდაზიანს.

წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხისა, კაპიტნებს: კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადებისას ლევან მამაცაშვილს და გრიგოლ ფალავანდიშვილს.

წმ. სტანისლავის მესამე ხარისხისა კაპიტნებს: საქართველოს გრენადერთა მე-14 რაზმისას თავ. ელიზბარ მაჩაბელს; ახალ-ქალაქის რაზმის უფროსს მიხეილ უთნელიშვილს; შტაბს-კაპიტნებს: საქართველოს გრენადერთა მე-14 რაზმისას თავ. გიორგი მაჩაბელს, განჯის ქვეითა რაზმისას სიმონ ჩხოტუას; პორუჩიკს ბაქოს მე-164 ქვეითა რაზმისას ალექსანდრე კობიაშვილს.

დანიშნული იქმნენ: აზნ. ევგენი არდიშვილი საგუბერნიო გამგეობის საკანცელარიო მოსამსახურედ; აზნაური ჯაჯანაშვილი, ტფილისის ქალაქის პოლიციის განყოფილების ზედამხედველად; სასმელების მეორე ოლქის უმცროსი კონტროლიორი კოლეჟსკი რეგისტრატორი სიმონ თაყაიშვილი, იმავე ოლქის უფროს კონტროლიორად.

## შემოწირულობა

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ მიიღო 100 მანეთი ქ-ნ ქეთევან ჟურულისაგან ამ საზოგადოების განზრახულ ბაზრობის სასარგებლოდ. ეს ფული

# ფელეტონი

## ვის და რა აზრით უნდა ჰგზავნიდეს ჩვენი საზოგადოება საზღვარ-გარეთ?

(Pro domo suo)

საზოგადოდ ამ ბოლო დროს ძლიერ გავრცელდა ახალ-გაზრდობის გამგზავრება საზღვარ-გარეთ სწავლის შესაძენად. როგორც საზოგადოდ ხდება, ჯერ რუსეთში დაიწყეს გამგზავრება საზღვარ-გარეთ სწავლის შესაძენად და მერმე ჩვენშიაც. საზღვარ-გარეთ უფრო მომეტებულად მიემგზავრებიან ჯერ ისინი, ვისაც რაიმე მიზეზის გამო საშუალო ან მაღალი სასწავლებელი ვერ დაუმთავრებია რუსეთში და მერე მკურნალები თურისტები, ფილოლოგები და სხვანი. უფრო ხშირად საზღვარ-გარეთ წამსვლელს აზრადა აქვს პრაქტიკულ ცოდნის შეძენა სხვა-და-სხვა გვარ მეცნიერებაში. ჩვენს ახალგაზრდობასაც, რომელიც მიემგზავრება საზღვარ-გარეთ, შეიძლება ეს აზრი ჰქონდეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენში ვერ უჩენია თავი იმ პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შეუძენია ქართველს საზღვარ-გარეთ. ეს არ ეტყობა მკურნალებს, რომელიც, სა უბედუროდ, არც ისე ხშირნი სტუმარნი არიან ევროპისა, არც ჩვენს იურისტებს, რომლებსაც იურიდიული მეცნიერება სწამს უფრო როგორც ხრიკი, ვიდრე ნამდვილი მეცნიერება, არც მასწავლებლებს, რომლებმაც არ იციან, სად და როგორ უნდა იმუშაონ შემდეგში, რადგან მათი თავისუფლება და მოქმედება სულ ერთიანად შებოჭილია. მხოლოდ აგრონომებსა და ტეხნიკოსებს უნდა ეჩინათ თავი ჩვენში, თუ რაიმე ცოდნას მოაწვდიდნენ ჩვენს საზოგადოებას და თავისს თავსაც, რადგან მათი დამოკიდებულება და მოქმედება ჯერ-ჯერობით მაინც უფრო თავისუფალი და სარგებლობის მომტანია.

საზღვარ-გარეთ წასვლას, სხვათა შორის, აზრადა აქვს უცხო ენების შესწავლა. ესეც დიდად სასარგებლოა ჩვენთვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოდაშია მხოლოდ საფრანგეთი და ფრანგული ენა. გერმანულისა და ინგლისურის ენის შესწავლის მსურველი ცოტაა და საზოგადოდ ცოტაა შედარებით ინგლისში და გერმანიის ცოდნის შესაძენად წასული და წამსვლელი. ეს ნაკლულევანებად უნდა ჩაეთვალოს ჩვენს ახალგაზრდობას, რადგან მარტო საფრანგეთში და ფრანგულს ენაში როდი მოიპოვება სრული და მრავალ მხრივი კულტურა ევროპისა. ასევე საინტერესოა გავიცნოთ საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია და იმათაც გავაცნოთ ჩვენი თავი და ამისათვის ჯერ ჩვენში ერთსაც არ წაუდგამს ნაბიჯი. მაგრამ აქაც ნებ-ყოფლობაზედ არის საქმე,—თუ ვინმე მიდის, საზღვარ-გარედ, თავის ხარჯით მიდის საზოგადოებას არავითარი მისი ხარჯი არ აწევს კისერზედ, წამსვლელს სრული უფლება აქვს ისე მოიქცეს, როგორც თითონ ჰსურს. მაშინ-კი, როდესაც საზღვარ-გარეთ მიდის ვინმე საზოგადოების ხარჯით, წასვლის აზრი ძლიერ გამორკვეული უნდა იყოს წამსვლელისათვის და საზოგადოებისათვისაც. ჩვენის აზრით, საზოგადოება არ უნდა ჰგზავნიდეს საზღვარ-გარედ იმისთანა კაცს, რომელსაც რუსეთის რომელსამე მაღალს სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებია. ამისთანა ყმაწვილის მოსამზადებლად საკმარისად დახარჯულან მშობლები, ან თვით საზოგადოება, იგი მაგრადა სდგას ფეხზედ და თუ გული გულობს, თითონაც კარგად შეუძლია ორი წელიწადი იშრომოს და ამ შრომის წყალობით განაგრძოს სწავლა საზღვარ-გარეთ. ამისთანა ვაჟბატონისათვის, გენიოსიც რომ იყოს, არ უნდა იქმნას რამე დახარჯული საზოგადოებისაგან და თუ უბრალო კაცი არის, საზღვარ-გარეთიც ვერაფერს შეიძენს; გენიოსი ხომ თითონაც იკვლევს გზას და არავისი დახმარება არა სჭირია. ეს გარემოება მისთვის არის საგულისხმო, რომ ჩვენი საზოგადოება ძლიერ დავალიანებულია: კისერზედ ბანკის ვალი აწევს, სახალხო წიგნთსაცავთა დაარსება, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ შენახვა, ეკლესიათა აშენება და სხვა ათასნაირი შინაური საქველ-მოქმედო საქმე და ამავე დროს იმისთანა ხარჯის გაწევა, როგორც, მაგალითად, დიპლომიანების საზღვარ-გარეთ გაგზავნა, თუნდაც მათ შუბლზედ გენიოსობა იყოს წარწერილი, მეტი ხარჯია ჩვენის გაღარიბებულ საზოგადოებისათვის, მით უფრო, რომ ისინი კარგად შეჭამუკებულნი და ცოდნითაც შეიარაღებულნი არიან და საზოგადოების დაუკითხავად და დაუხმარებლადაც იპოვიან საშუალებას ევროპაში წასვლისას. უნდა გამოვტყდე, მე მრცხვენიან კიდეც იმათ მაგიერ, რადგან ისინი ჩვენს ისედაც ღარიბს საზოგადოებას უფრო აღარიბებენ და რითიმე გარდაუხდიან თუ არა საზოგადოებას, ამისათვის არ უნდათ იფიქრონ.

საზოგადოების წინაშე დიდია ყოველის შეგნებულის ადამიანის მოვალეობა მაშინაც-კი, როდესაც ამისათვის საზოგადოებისა არა დახარჯულა რა და როდესაც დახარჯულა რამ, მაშინ ხომ ეს მოვალეობა დიდია და დიდი. ეს გარემოება უნდა აიძულებდეს ყოველს ჩვენს ახალგაზრდა სწავლა-დამთავრებულს იფიქროს, თუ რა დიდი იქნება მისი ზნეობრივი ვალდებულება საზოგადოების წინაშე. ეს მოსაზრება უნდა ატანდეს ძალას გამოსძებნოს სხვა ღონე, თითონვე შეჰქმნას ევროპაში წასასვლელი საშუალება. ვინ იცის რამდენია ჩვენში ნიჭის მქონეც, სამშობლოს სიყვარულითაც აღვსილი, მაგრამ არ მიდის არსად, თუმცა სწავლის შეძენის სურვილიც ბევრი აქვს და სამშობლოს დახმარების სურვილიც.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენში, საუბედუროდ, ძლიერ გავრცელებულია სხვისის ოფლითა და შრომით ცხოვრება, პარაზიტობა. მრავალი, მოდი და ნუ გაიკვირვებ, ნასწავლიც კი ბევრი ურევია ამ მრავალში,—იმას ჰფიქრობენ, რომ როგორმე დაალარიბონ მახლობელი და მერე მიეკედლონ დასაღარიბებლად მეორეს და ასე გაუთავებლად. თუ მართლა მკითხავთ, ეს არის ჩვენი უბედურება, თორემ რა გვიშავდა. არ ვიცით მახლობელის არც გაჭი-

აულიათ ცირკის წარმოდგენიდგან, რომელიც გაუმართავთ გორში ქ-ნ ჟურულის მეცადინეობით. ბილეთების გაყიდვაში ქ-ნ ჟურულისთვის დახმარება აღმოუჩენიათ თავ. გრიგოლ სულხანის ძე ბეგთაბეგოვს, თავ. ივანე რომანოზის ძე მაყაშვილს, კნ. ნინო მირიანის ასულს ბეგთაბეგოვს, სოფიო ალექსის ასულს ჯლომაურს, კნ. მარიამ ივანეს ასულს წერეთელს, თავ. ივანე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილს, დამიანე პეტრეს ძე დავრიშოვს, თავ. ალექსანდრე გიორგის ძე ხერხეულიძეს და თავ. ბარძიმ ქაიხოსროს ძე ავალიშვილს.

იმავე ბაზრობის სასარგებლოდ ანნა არღაზიანს შეუწირავს ხელთ ნაკერი კაშნა და სურათის ჩარჩო.

# ახალი ამბავი

*** დღეს დიდუბის ეკკლესიაში იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ალექსანდრე როინაშვილის სულის მოსახსენებლად. მწირველი იქნება ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი. წირვისა და პანაშვიდის დროს იგალობებს ი. მონადირიშვილის გუნდი. წირვა დაიწყება 9½ საათზედ.

*** 1898 წ. 30 მარტს, ქალაქის გამგეობამ, სხვათა შორის, დაადგინა ყველა ქუჩების შეკეთება იკისროს ქალაქმა თავისი ხარჯით, ვიდრე ამ საგნისათვის დაწესდებოდეს განსაკუთრებული გარდასახადი სახლის პატრონებზე მათთან შეთანხმებით.

ამ ჟამად ტფილისის გუბერნატორმა პოლკ. ი. ნ. სვეჩინმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, რაც შეიძლება საჩქაროდ მოიყვანეთ სისრულეში ეს დადგენილებაო.

*** მცხეთის ტაძრის განსაახლებლად შეუწირავთ: კ. ი. ზუბალაშვილს—300 მან., კ. მ. ალიხანოვს—50 მან., მ. ი. დოლუხანოვს—50 მან. და თავ. ორბელიანთა აზნოების კანტორას—100 მან.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსში სახელმწიფო ხარჯზედ მისაღებ მოწაფეთა გამოცდა დანიშნულია გაზაფხულსა და შემოდგომაზედ. მაგრამ იმ მოწაფეთ, რომელნიც გამოცხადდებიან გამოსაცდელად გაზაფხულზედ და ვერ გადაიხდიან და აგრეთვე რომელნიც დაიწყებენ გამოცდას გაზაფხულზედ, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ვერ დაამთავრებენ, არამც და არამც უფლება არ მიეცემათ მეორეჯერ გადაიხადონ ეგზამენი აგვისტოში. გაზაფხულზედ მისაღები გამოცდა დაიწყება 20 მაისიდგან, ხოლო შემოდგომაზედ 26 აგვისტოდგან. („კავკ.“).

*** გუშინ, 8 მაისს, გაემგზავრა ახალქალაქსა და ახალციხეში ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის პირველი განყოფილება. ახალქალაქში საქმეთა განხილვა დაიწყება 11 მაისს, ხოლო ახალციხეში 17 მაისს.

*** სამხედრო უწყებაში საყოველთაო ბრძანებით აღკრძალულ იქმნა აფიცერთა და ექიმთა გადაყვანა ერთის ადგილიდგან მეორეში, ვიდრე ისინი ერთ წელს არ იმსახურებენ წინანდელ თანამდებობაში. გადაყვანა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

*** სამთო ინჟენერებს განზრახვა აქვთ თურმე დააარსონ საზოგადოება, რომელსაც საგნად ექნება მადნების გამოკვლევა აზიის რუსეთში.

*** „კავკაზს“ პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ სამხედრო უწყებაში ებოძათ ორდენები წმ. ანნასი: მესამე ხარისხის—ყუბანის ყაზახთა ჯარის კავკასიის მე-2 პოლკის მამასახლისს თავ. ესტატე ჯორჯაძეს. წმ. სტანისლავისა მესამე ხარისხისა—თერგის ოლქის უფროსის საგანგებო მინდობილებათა მოხელეს მამაცაშვილს. სასულიერო უწყებაში ებოძათ ორდენები: წმ. სტანისლავისა მეორე ხარისხისა—სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის ბუჰგალტერს არღაზიანს; წმ. სტანისლავისა მესამე ხარისხისა—ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ფერამეს და ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის სტოლის უფროსს დავითაშვილს.

*** „ახ. მიმ.“-ს ზუგდიდიდგან სწერენ, რომ 1 მაისს აქ გამართული დოლი მეტად სამწუხაროდ დასრულდაო. დოლი გაუმართავთ ბულვარსა და დუქნებს შუა. მოსახვევთან ცხენები დასჯახებიან იქ მდგომ ხალხს და რამდენიმე კაცი გადაუთელნიათ. ვაჭარი მ. მიმინაშვილი სასიკვდილოდ დაშავებულა. ერთი პატარა ბიჭი გადმოუკიდია ცხენს, გადაუთელნია და შემდეგ საბრალო ბავშვი კიდეც გადაცვლილა.

*** როგორც იმავე გაზეთს გაუგონია, ამ მოკლე ხანში მთავარ მართებლის საბჭო განიხილავს საგანს ს. სამტრედიის პოსადად გადაკეთების შესახებ. განზრახვა აქვთ აგრეთვე შემოიღონ სამტრედიაში შემოკლებული თვით-მმართველობა.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ გადასდო თურმე 6,000 მან. ტელეფონის გასაყვანად სადგ. ყვირილასა და განჯას შუა. ამ მანძილზედ ყველა სადგურებში დაიდგმება გატინგერის მანქანები, რომლებიც იმოქმედებენ ტელეგრაფთან ერთად ერთისა და იმავე მავთულის შემწეობით. რაკი ეს ტელეფონი გაიმართება, ამით შეერთდება ტელეფონით ყველა სადგურები ფოთსა და განჯას შუა. („კავ.“)

*** სოფ. სუფსაში, როგორც „ჩერნ. ვესტ.“ იუწყება, ამ ბოლო დროს გულ მოდგინედ იკვლევენ ნავთის ადგილებს.

*** სოფ. ტოლა, (რაჭის მაზრა). რაჭის მაზრაში ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა მკვლელობა და ხმალ-ხანჯლის ტრიალი. ადგილობრივი თავად-აზნაურებიც რომ არ მოვიხსენიოთ, რომლებმაც ამ საქმეში დიდად ისახელეს თავი, ეს საზარელი ზნე ამ ჟამად გლეხებმაც შეითვისეს. ნაალდგომევს აქ სხვა და სხვა სოფელში სულ ერთის კვირის განმავლობაში დაიჭრა და მოიკლა 30 გლეხზედ მეტი, რომლებიც აქამომდე სრულიად უმკურნალოდ არიან მიტოვებულნი. ასე უპატრონოდ დალპა და გაიხრწნა, მაგალითად, სოფ. ტოლაში გლეხის მუსელიანის გვამი, რომელიც ჯერ კიდევ არ დაუპატივებიათ, რადგან ადგილობრივ მაზრის მკურნალს ხელთ არა აქვს არავითარი იარაღი გვამის გასაჭრელად, საუცხოვოა! მაზრის ექიმს არა აქვს საჭირო ხელ-სამწყო გვამის გასაჭრელადაც-კი. („კავკ.“).

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ძველი სენაკი**, აპრილის 25-ს იყო დანიშნული აქაურ ამხანაგობის „შემამგლის“ წევრთა კრება, მაგრამ რადგანაც წევრთა კანონიერი რიცხვი არ შეიკრიბა, ამიტომ კრება ვერ შესდგა. სარევიზიო კომისიის ერთმა წევრმა წაუკითხა ოციოდე წევრს კომისიის ის დადგენილება, რომელიც წარსულის წლის „ივერიის“ უკანასკნელს ნომერში იყო დაბეჭდილი. იქ არის მოხსენებული, რომ ორის წლის განმავლობაში ამხანაგობას მოუგია 1700 მანათიო. გარდა ამისა იქვე მოხსენებულია, რომ ანგარიშის სისამდვილით წარმოებისათვის საჭიროა გამგეობამ შემოიღოს რიცხვული დაბეჭდასმული შესავალ-გასავლის; დავთრები ამასთანავე სარევიზიო კომისია ავალებს გამგეობას, რომ ნორმალ წესდების მიხედვით შეიმუშაოს ახალი წესდება და წარმოუდგინოს საზოგადო კრებას განსახილველად და სხ.

გამოირკვა, რომ კანონიერი კრება იმის გამო ვერ შესდგა თურმე, რომ გამგეობამ ზოგიერთებს სრულიად ვერ შეატყობინა, ხოლო ზოგიერთ წევრს შეატყობინა ძალიან გვიან — კრების წინა დღეს და კრების დღეს ... ამის გამო გამგეს დაავალეს, რომ კვლავ ადრე შეატყობინოს ხოლმე წევრებს, რომელ დღეს იქმნება დანიშნული კრება. დიდი კამათი გამოიწვია იმან, თუ რომელ დროისათვის უნდა იქმნას მოწვეული შემდეგი კრება. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ რადგანაც ეს კრება კანონიერად ვერ შესდგა, ამიტომ, პირობის მეხუთე პარაგრაფის ძალით, ორის კვირის განმავლობაში უნდა მოხდესო. ეს უკანასკნელნი, ამას გარდა ამბობდნენ, რომ რადგანაც საზოგადოებას არა ჰყავს არც მდივანი და ხაზინადარიც, ... ბათ თხოულობს განთავისუფლებას, ამიტომ რაც მალე მოხდება საზოგადო კრება, მით უკეთესი იქმნება ამხანაგობისათვისო. უმრავლესობამ, რასაკვირველია, თავისი გაიტანა: ხაზინადარს ზოგიერთის პირობის ... სთხოვეს კიდევ დარჩენილიყო დროებით, ხოლო უკანონო კრებამ დროებით მდივნად ამოირჩია ბ-ნი გერსამია; ამასთანავე დაადგინა, რომ თავმჯდომარე კრებისა ავალებს გამგეობას მოიწვიოს საზოგადო კრება არა უგვიანეს ... ბრისა. უმცირესობა არ დასთანხმდა ასეთს გარდაწყვეტილებას და ... ფილება განაცხადა. როგორც შევიტყვე, ზოგიერთნი წევრნი აპირებენ ... მოკლე ხანში ბ-ნ გამგეს მოსთხოვონ საგანგებო კრების მოწვევა.

მირზა

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობას აზრადა აქვს შავის ზღვის ნაპირას სოხუმიდგან ნოვოროსიისკამდე რკინის გზა გაიყვანოს. შარშან გაზაფხულზედ იმ ადგილების გამოსაკვლევად, სადაც რკინის გზამ უნდა გაიაროს, გაგზავნილ იქმნა ექსპედიცია რ. კ. ფონ-გარტმანის მეთაურობით. ექსპედიციამ კარგა ხანი მუშაობა დაამთავრა და წიგნიც გამოსცა ამის შესახებ. როგორც ამ წიგნიდგანა სჩანს,

„კავკასიის ის ნაწილი, რომელიც შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირს შეადგენს ...

---

რვება, არც დალხინება. მეტმა სტუმართ-მოყვარეობამ,—ჩვენში სტუმარი ხომ ხშირად მასპინძელია!—გაანადგურა ჩვენი საზოგადოება. აბა ჰკითხეთ ვისმე, რა იყო მიზეზი მისის გაღარიბებისა, და ოცის წლის წინად მდიდარი დღეს გიპასუხებთ, რომ იმის ჯიბეს ყოველი კაცი ეპოტინებოდა, მისი ოჯახი სავსე იყო სტუმრებით, მოყვარებითა და მტრებით; დაღარიბდა და დღეს ის არავისთვის საინტერესო აღარ არის. ამ მდგომარეობაში არიან თითქმის ყველანი ჩვენში. მართლა ამ მხრივ რა საოცარი განსხვავება არის ჩვენსა და ევროპიელებს შუა! ევროპაში ძლიერ განსაზღვრულია საკუთრება, ყველას შეგნებული აქვს, რომ სჭამე ის, რაც თვითონ შენ შეგიძენია და ნუ იწვდენ ხელს უსინიდისოდ სხვის საკუთრებისაკენაო. სხვისისა და თავისის საკუთრების გაურჩევლობამ, ანუ უკეთ ვთქვათ, სხვისი ვჭამო და ჩემი ხომ ჩემია, ან ჩემი რად მინდა, როდესაც არის სხვისი საკუთრება, რომლის ხელის შეხებას არავინ მიშლისო, გარყვნა ერთიანად ქართველობა, რადგან ვინც სხვისას არ დაეძებს არც თავისის კეთილდღეობისათვის იტეხს თავს. სადაც ამ გვარი ადამიანები ჰმეტობენ, იქ საზოგადოება ვერ შესდგება და არც საზოგადოებრივ ინსტინქტსა აქვს ალაგი.

ამ გვარი უთავბოლო შეხედულობა რომ არა ჰქონოდა და დღესაც რომ არა ჰქონდეს ქართველობას, რა უშავდა. ბევრი პატარა ერი ჩვენს მდგომარეობაშიაც არ არის. ჩვენში თითქმის დღესაც ყველანი პატარა მესაკუთრენი მაინც არიან და ამ გარემოებაში დიდი ნიადაგია კეთილდღეობისა და ეროვნების დაცვისათვის. ოღონდ ცოდნა უნდა საქმისა და ამ პატარა მიწა-წყალსაც შეუძლიან სამსახური გაუწიოს პატრონს. სომხები, რომლებიც დიდს მხნეობას იჩენენ, ყოველ ღონეს ჰხმარობენ გამდიდრებისათვის, დღეს შეიქმნენ მხოლოდ თვალ-საჩინო მიწა-წყლის პატრონები. ირლანდიელების უბედურება და სავალალო მდგომარეობა ის არის, რომ იმათ საკუთრება არა აქვთრა. ჩვენ იქამდის შეუგნებელნი ვართ, რომ ვკარგავთ ამ ერთად-ერთს საზსარს არსებობისას, ვკარგავთ მისთვის, რომ საკუთრების უაღრესი მნიშვნელობა ვერ შეგვიგნია და ეს, ჩვენში დარჩეს, მკითხველო, ჩვენის ველურ მდგომარეობის მაჩვენებელია. სამწუხარო აქ არა იქნებოდა-რა, რომ ეს მოვლენა ეხლავე გვეცნო; ვეცდებოდით მაინც გადაგვეცდო მავნებელი და უაზრო ჩვეულება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არ გვიცვნია ეს მოვლენა მავნებლად, რადგან ახალის თაობის წარმომადგენელი ახალგაზრდობაც ისე იქცევა, როგორც ძველისა; ისიც ისე ამბობს, როგორც ძველი: რა მენაღვლება, სხვისასა ვჭამ და, თუ მექნება, ჩემსასაცაო. აგერ X-ს გუშინ სახელმწიფო ბანკში დაუგირავებია მთელი თავისი ავლა დიდება; დიდძალი ფული გამოუტანია, იმდენი, რომ მეურნეობა გაჩაღდებოდა იმისს მიწა-წყალზედ, მრეწველობა და აღებმიცემობა-კი გაცხოველდებოდა, მცოდნე კაცი რომ ყოფილიყო, მაგრამ მცოდნე კაცი არ გამოდგა თითონ, ჭამაში დახელოვნებულნი-კი ბევრი გამოუჩნდნენ, სტაცეს ხელი დროებით გამდიდრებულს და ხვალ სადა ხარ, დღეს მდიდარო კაცო? არარაობა არის ხვალ შენი სახელი, რადგან უგუნური ხარ და ამასთანავე ერთად-ერთი შენი სიმდიდრე-მამული არც შენია ხვალ და არც იმ შენის გაუმაძღარის მახლობლებისა, რომლებმაც შენთან ერთად შენთქეს შენი ავლა-დიდება. მამული დარჩა, მაგრამ ის ერთ დროს არც შენი იქნება და არც შენის მახლობლისა. არც მამა-პაპისაგან გადმოცემულს უპირატესობას შეირჩენ და კიდეც რომ შეირჩინო, რაღ გინდა?!.

ეს საყოველთაო მოვლენაა ჩვენში. სწორედ ეს არის მიზეზი ჩვენის სიღარიბისა, რადგან ხვალინდელ დღისათვის არა ვფიქრობთ, უფრო სხვისის იმედით ვცხოვრობთ, საკუთრებას ჩვენს თვალში არა აქვს ფასი და ამისათვის ოხრად ვექცევით ჩვენს საკუთრებასაც და სხვისასაც. ეს არამც თუ უწინ გვქონია ჩვეულებად, ჩვენს ახალგაზრდობაშიაც არის ამგვარი ჩვეულება მტკიცედ გამჯდარი და ამისათვის ისე არსადაა გავრცელებული სხვისის საკუთრების დაპატრონების სურვილი და მათხოვრობა, როგორც ჩვენში. გაუგონიათ დიპლომს დღეს მნიშვნელობა აქვსო და ეს საკმარისია, რომ შეძლების მქონე, შეუძლებელი, ყველა ერთნაირად ოცნებობდეს დიპლომისათვის, თითქოს სწავლის მიღებას მხოლოდ ფორმალურად ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა საზოგადოებისათვის, თითქო მოხელეების გამრავლებაშია ჩვენი ხსნა. მაგრამ დიპლომიანებს არც იმდენი გაუკეთებიათ რა ჩვენში, ლიტერატურაშიაც ნაკლებად იჩენენ ისინი თავს *) და ამის მიზეზი მათი უნიჭობა კი არ არის, ისინი უფრო მოხელეობას ირჩევენ, რადგან ეს იყო მათი პირველი საგანი. ამასთანავე, რაკი მათი ბედი მათსავე ხელში არ არის, ეს ინტელიგენტები ისე არიან დაქსაქსულნი, რომ მათი სასარგებლო მოქმედება საზოგადოებისათვის შეუძლებელიც არის. გარემოებისა გამო ჩვენის საზოგადოების ყურადღება ისევ იმისთანა სწავლისაკენ უნდა იყოს მიქცეული, რომელსაც კავშირი აქვს პირდაპირ მიწასთან და მისს სიმდიდრესთან.

უმთავრესი ჩვენი ყურადღება მიწის შემუშავებას, მოსტნეულობის და ხეხილის მოყვანას, აბრეშუმეულობას, ვაზის გაშენებასა და მოვლას და სხ. უნდა მივაქციოთ. რადგან კავკასია საზოგადოდ მდიდარია მადნეულობით, ლითონებით, ნავთითა და სხ., დიდად საჭიროა ჩვენებისათვის ცოდნა იმ მეცნიერებებისა, რომელსაც დედამიწის ამ მხრივ შესწავლა აქვს აზრად. რაღა თქმა უნდა, ცოდნა უფრო პრაქტიკული უნდა იყოს, ვიდრე თეორიული. რუსეთის მაღალი სასწავლებლები, ამ გვარის ცოდნის შესასწავ...

*) უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს ლიტერატურაში მაღალ-სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთა რაოდენობა როდია ... თვალ-საჩინო, როგორც სხვებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენს, შეიცავს სულ 31,000 ოთხ-კუთხ ვერსტს. იგი შვეიცარიის 4/5-დს შეადგენს და 1½-ჯერ მეტია ტავრიდის ნახევარ კუნძულზედ.

„კავკასიის ამ კუთხეს ბუნების სიმდიდრითა და ჰავის სიკარგით პირველი ადგილი უჭირავს მთელს რუსეთის იმპერიაში. ბუნებამ დააჯილდოვა იგი ნაყოფიერის ნიადაგით, მდინარეებით, მდიდარის მცენარეულობით და საუკეთესო ადგილ-მდებარეობით. განსაკუთრებით მდიდარია ბუნება სოხუმსა და ტუაფსეს შუა.

„ამ ადგილებში საუკეთესოდ განვითარდება მეურნეობის ყოველგვარი დარგი: ხვნა-თესვა, ბაღოსნობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეთამბაქოობა, მეაბრეშუმეობა, მერძეობა და სხვა.

„ამისდა მიუხედავად შავის ზღვის ნაპირის სიმდიდრე უსარგებლოდ რჩება, რადგანაც ეს ადგილები ჩერქეზების გადასახლების შემდეგ უდაბნოს წარმოადგენს, აქა-იქ თუ შეხვდებით სოფლებს. მთელის 30 წლის განმავლობაში (1864—1894) ათასგვარად სცადეს ამ ადგილების დასახლება, მაგრამ დღემდის ყოველგვარმა მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ბ. ნ. ფონ გარტმანის აზრით რკინის გზა ოთხ-ხუთ წელიწადში გააკეთებს იმას, რის გაკეთებასაც 30 წლის განმავლობაში სცდილობდნენ: ეს ადგილები ხალხით გაივსება, მეურნეობა აღყვავდება, განვითარდება და სხვა. საჭიროა მხოლოდ რაც შეიძლება მალე იქნას გაყვანილი რკინის გზა. ამ გზამ უნდა შეაერთოს ამიერ-კავკასიის და კავკავ-როსტოვის რკინის გზები. გარტმანის აზრით, მთა ადგილებში საჭიროა ვიწრო ლიანდაგიანი ელექტრონის გზა იქმნას გაყვანილი.

—

პეტერბურგში შეუდგნენ ახალის გაზეთის ბეჭვდას, რომელსაც სახელად „Россія“ (რუსეთი) ეწოდება. გაზეთის პირველ ნომერში სარედაქციო წერილია დაბეჭდილი, რომელიც შეიცავს გაზეთის მოქმედების მომავალ პროგრამას. სხვათა შორის ამ წერილში რედაქცია გაზეთისა აცხადებს, რომ

„გარუსება სხვა-და-სხვა წვრილმან ხალხებისა, ჩვენის აზრით, ჰნიშნავს იმას, რომ ამ ხალხებს შორის დამკვიდრებულ იქმნას საერთო კანონმდებლობა, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გავრცელებულ იქმნას საერთო საზოგადო განათლება. ვცნობთ-რა, რომ ერთფეროვნება, ერთგვარობა სწავლა-განათლებისა საჭირო პირობას შეადგენს საპოლიტიკო წეს-წყობილებისათვის, ამასთან, ჩვენის აზრით, საჭიროა სახელმწიფო ენა გაბატონებულ იქმნას ყველგან, როგორც სახელმწიფო სკოლასა, აგრეთვე სამოსამართლო და მთავრობის სხვა დაწესებულებაში. სკოლა სახელმწიფო უფლებებს ანიჭებს კაცს. რათა ეს უფლებანი მიიღოს რუსეთის ქვეშევრდომებმა, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა საჭიროა იმისთვის რუსულის ენის ცოდნა. მაგრამ არ თანავუგრძნობთ იმ ვითომდა პატრიოტებს, რომელნიც თხოულობენ წვრილმან ერების ენის სრულიად განდევნას და იმის ნაცვლად ყოველგვარ საქმესა, სკოლასა და ვაჭრობაშიაც-კი სახელმწიფო ენის შემოღებას. ვემსახურებით რა რუსეთის კულტურას, ამასთან პატივს ვცემთ იმ ხალხების კულტურასაც, რომელნიც რუსეთის საზოგადო ოჯახის წევრებს შეადგენენ. პატივს ვცემთ აგრეთვე მათ ენასა და ლიტერატურას. რუსეთს სიამაყით შეუძლიან აღბეჭდოს თავის ისტორიის ფურცლებზედ, რომ მას არც ერთის ქვეშევრდომ ერის ენა არ მოუსპია. პირ-იქით იმის მფარველობის ქვეშე აღმოცენდნენ და ფრთა გაშალეს არამც თუ მარტო ჩვენმა პოეტებმა და ბრძენთ, პუშკინებმა და ტოლსტოებმა, არამედ სხვათაც, როგორც, მაგალითად, პოლონელმა მიცკევიჩმა, ქართველმა აკაკი წერეთელმა, სომეხმა რაფფიმ და სხვ.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** „Figaro“-ში დაბეჭდილია პროეკტად ნამყოფის ლებონის ჩვენება, რომელიც ჩამოართვა მას საკასაციო სასამართლომ დრეიფუსის შესახებ. როგორც ვიცით, დრეიფუსს აბრალებდნენ მისი მოწინააღმდეგენი, რომ ქალების მოტრფიალე იყო და ქაღალდის თამაში უყვარდაო, და რადგან ერთიცა და მეორეც დიდძალს ფულს თხოულობს, საკვირველი არ არის, ფულების გულისათვის გაბრიყვებულიყოს და მთავარ-შტაბის საიდუმლოებანი მიეყიდნოს უცხო ქვეყნის აგენტებისთვისო. 1894 წელს ლებონისათვის მიუნდვია სამხედრო მინისტრს მერსიეს გამოეძიებინა, თუ რამდენად მართალი იყო დრეიფუსის შესახებ გავრცელებული ხმება.

აი რას ამბობს თითონ ლებონი თავისს ჩვენებაში: 1894 წელს სამხედრო მინისტრი გენერალი მერსიე შემეკითხა დრეიფუსის კერძო ცხოვრების შესახებ, სახელდობრ, რამდენად უყვარს მას ქალები და ქაღალდის თამაშობაო. ამ საგნის გამოძიება ჩემზედ ადრე მინდობილი ჰქონდა სამხედრო სამინისტროს საგანგებო აგენტს, და ეჭვი შევიტანე-რა, რომ იქნებ ამ აგენტის მოხსენება გადაჭარბებულია-მეთქი, მე ახალი გამოძიება დავნიშნეო. მე დაწვრილებითი ცნობები შევკრიბე და ამიტომ ნება მქონდა გამეცხადებინა, რომ დრეიფუსი არაოდეს არ ყოფილა არც ერთს საყომარბაზო სახლში მეთქი. ამასთანავე იმას არ მართებია თამაშობის ვალიო. ამგვარს რასმეს თუ აბრალებდნენ მას, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ როგორ ცუდად გამოუძიებიათ მისი საქმეო. ცხადია, დრეიფუსისათვის სხვისი დანაშაულობა მიუწერიათო.

რაც შეეხება ქალებთან დამოკიდებულებასო, — ამბობს ლებონი, — აქ არ შეიძლება ასეთივე გარკვეული პასუხის მიცემაო. შეიძლება ერთთან ან ორთან დრეიფუსს მართლაც ჰქონდა დამოკიდებულება, მაგრამ ამის თქმა-კი გადაჭრით შემიძლიან, რომ ეს ქალები სრულებით უანგარონი უნდა ყოფილიყვნენო. დასასრულ ლებონმა სთქვა, რომ გამოსაძიებელ საგნის შესახებ კითხვები ანრის ხელით მეგზავნებოდაო, და ადვილი შესაძლებელია, ჩემი მოხსენებაც იმავე ანრის ხელით გაეგზავნეო.

ამ ჩვენების შესახებ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ლებონის მოხსენება არა სჩანს დრეიფუსის საქმეთა შორის; ის გაქრა საქმის გარჩევამდე, ასე რომ სამხედრო სასამართლოს წევრებს არ განუხილავთ იგი 1894 წელს. უთუოდ ანრიმ დახია ის და იმის ნაცვლად ჩააკრა საქმეში თავისი აგენტის გენეს მოხსენება.

**იტალია.** მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფს ჯიოლიტის უთქვამს ერთი გაზეთის კორესპონდენტისათვის, რომ სანმუნის ნავთ-სადგური ვაჭრობის გასავრცელებლად ყოვლად გამოუსადეგარია და იტალიის მთავრობამ ვერ გამოიჩინა წინდახედულობა, იმის რომ წაუპოტინა ხელიო. ეს ნავთ-სადგური, ჯიოლიტის სიტყვით, მხოლოდ სამხედრო სადგურად გამოდგება, რადგან ხალხი თითქმის არ სახლობს იქ. შორს არის იმ ადგილებიდგან, სადაც ან წარმოება რისამე და ანუ ნაწარმოების გასაღება შეიძლება, გარშემო მთები აქვს შემორტყმული და მოკლებულია როგორც სანაოსნო მდინარეებს, ისე ხმელეთის გზებს. ამიტომ, იტალია თუ დაეპატრონა იმას, ტყუილა უბრალოდ დიდი ხარჯი უნდა გასწიოს და სამერმისოდაც არ უნდა ჰქონდეს სარგებლობის იმედიო, იტალიისათვის საჭიროა სავაჭრო ბაზარიო; საჭიროა აგრეთვე იტალიის მკვიდრთათვის ისეთი ადგილი, სადაც სარჩოს მოსაპოვებლად გასვლა შეეძლოსო, მაგრამ ამ მხრივ სანმუნის ნავთ-სადგური გამოუდეგარია, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რა ხშირი მოსახლეობაა ჩინეთში და რამდენად მცირეა იქ სამუშაო ხელფასიო. არც ერთი იტალიელი არ მოისურვებს იქ წასვლას იმისთვის, რომ იქ იმაზედ ნაკლები აიღოს, რასაც თავისს სამშობლოში ღებულობსო.

**საბერძნეთი.** ახალს მინისტრ-პრეზიდენტს თეოტოკისს აზრად ჰქონია განაახლოს ის კანონი, რომლის ძალითაც კაპიტანის ხარისხამდე აფიცრებს ეკრძალვისთ არჩევანებში მონაწილეობის მიღება. თითონ ხალხიც ნაკლებად ირჩევს აფიცრებს წარმომადგენლებად, ასე რომ დეპუტატთა პალატაში ეხლა მხოლოდ 15 კაცია სამხედრო წოდებისა. ეს 15 დეპუტატი ოპოზიციაში აპირებს თურმე გადასვლას, მთავრობამ მართლა თუ წარუდგინა პარლამენტს დასამტკიცებლად ხსენებული კანონ-პროექტი. მაშინ, ადვილი შესაძლებელია, სამინისტროს მომხრეებს ოპოზიციამ სძლიოს და თეოტოკისი იძულებული გახდეს სამსახურს თავი დაანებოს. ამის გამო ბევრს გამორკვეული არა აქვს, თეოტოკისი გამოიჩენს ხასიათის სიმტკიცეს და წარუდგენს პალატას პროექტს, თუ მოერიდება ოპოზიციის სიმრავლეს. ჟურნალ-გაზეთობა და მეფე მხარს აძლევენ სამინისტროს, რადგან იმ აზრის არიან, რომ ჯარის კაცნი არ უნდა ერიონ პოლიტიკაში.

## დაჰკვირდი

ავსა ნუ მოელის ქორი ხოხბის ჭანგისაგან.

როსტომიანი

* * *

ბოროტ არს ცოდვით სიკვდილი, მწარე არს ეჭვით განსვლაჲ ამიერ სოფლით.

ხელნაწ. 974 წლ.

* * *

უსვინდისო კაცი და მტაცებელი მგელი მით ოდენ განსხვავდებიან, რომე პირველი ღვთის ხატია და მეორე ოთხფეხი პირუტყვი.

ლასურიძე

## სასამართლოს მატიანე

### ნიკოლოზ ორჯონიკიძის საქმე

11 მაისისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მე-2 განყოფილებაში დანიშნული იყო განსახილველად საქმე ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელის ნიკოლოზ ორჯონიკიძისა, აზნ. გედევან ორჯონიკიძისა და ტფილისის მცხოვრებთა პავლე და ეკატერინე კონდრატიევებისა, რომელთაგან პირველ ორს ის დანაშაული ჰბრალდებათ, რომ 1897 წ. 8 აგვისტოს მოიპარეს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდგან ნიკოლოზ ორჯონიკიძის მიერ ტფილისის სახელმწიფო ბანკიდგან იგდირის ხაზინაში გასაგზავნად მიღებული პაკეტი 50 ათასი მანეთით, ამოიღეს ამ პაკეტიდგან ეს ფული და თავიანთ სასარგებლოდ მოიხმარეს. ხოლო პავლე და ეკატერინე კონდრატიევებს ის დანაშაული ჰბრალდებათ, რომ თუმცა მათ იცოდნენ — ეს ფული მოპარული იყო, მიიღეს შესანახად ამ ფულიდგან 30 ათასი მანეთი და 8 ათასი მანეთი თავის სასარგებლოდ მოიხმარეს. ამ საქმის განხილვა გადასდო ტფილისის

---

ლად დაარსებულნი, თავის პირ და-პირ აზრს მაინცა და მაინც ვერ აღწევენ, რადგან სწავლა ამ სასწავლებლებში უფრო თეორიულია და ამასთანავე რუსეთის მიწის კულტურა და ჰავა დიდად განირჩევა ჩვენის მიწის კულტურისა და ჰავისაგან. ეს გარემოება უჩნევს გზას რუსეთში სწავლა-დამთავრებულ ყმაწვილებს და იმის მაგივრად, რომ ადგილობრივის მიწისა და ჰავის ვითარების შესწავლას შეუდგნენ, სცადონ, იკვლიონ, იძიონ იგი, ისინი სიხარულით სტოვებენ ამ საქმეს და ისევ მოხელეობას ამჯობინებენ. ამ მოხელეობას არამც თუ არ გაუმდიდრებივართ, უფრო დაუღარიბებივართ და ჩვენი მიწა-წყალი-კი, უპატრონოდ დატოვებული, სხვის ხელში გადადის და მერე გვიკვირს, სხვა რად სარგებლობს და ჩვენ-კი ვერ გვისარგებლნიაო. მაშასადამე, თუ ვინმე გაიგზავნება საზღვარ გარედ საზოგადოების ხარჯით, უეჭველად მიზნად უნდა ჰქონდეს შესწავლა სამიწად-მოქმედო სწავლის სხვა და სხვა დარგისა. ჩვენი საზოგადოება არ უნდა ჰხარჯავდეს რასმეს იმისთანა ადამიანისათვის, რომელსაც რუსეთის რომელიმე მაღალი სასწავლებელი (მით უფრო უნივერსიტეტი) უკვე დაუმთავრებია, რადგან ამ გვარი ადამიანი, როგორც წინადაც ვსთქვით, საკმარისად მაგრად არის ფეხზედ დაყენებული და თუ ჰსურს, თითონაც კარგად მოიპოვებს საშუალებას საზღვარ-გარედ წასვლისას, და ის ხომ ძლიერ საეჭვოა, მოიტანს თუ არა იმ სარგებლობას, რომლის მოტანასაც ჰფიქრობს თვითონ და რომელსაც მოელის საზოგადოება. ფეხზედ დაყენებული ჭაბუკი თვითონვე გაუძლებს თავის თავს და ისევ ბევრად უმჯობესია საზოგადოება ჰშველოდეს იმ ყმაწვილებს, რომლებსაც არავითარი საშუალება არა აქვთ საშუალო სასწავლებელი დაამთავრონ და არც საკმარისი სურვილი აქვს ზოგის სავალდებულო საგნის შესწავლისა. ამისთანა ყმაწვილების უყურადღებოდ დატოვება, თუ საზოგადოებას აქვს რაიმე საშუალება, ცოდვაა. ისინი, ყოველგვარ ცოდნას მოკლებულნი, ხშირად საზოგადოების ბარგად ხდებიან და საზოგადოება რომ დაეხმარებოდეს ჩვენში ან უცხო ქვეყნებში პრაქტიკულის ცოდნის შესაძენად, მაშინ ისინი საზოგადოების სასარგებლოდ თუ ვერ გამოიყენებდენ თავის ცოდნას, თავისს თავს ხომ გამოადგებოდნენ.

ევროპაში პრაქტიკულს ცოდნას დიდი ალაგი უჭირავს. იქაური უბრალო მებაღე ასჯერ სჯობს ჩვენს სწავლულს აგრონომს: იქაური ორ-კლასიანი ტეხნიკოსი ბევრად სჯობნის ჩვენს ტეხნიკოსებს, რომლების თავი თეორიებით უფრო სავსე, ვიდრე პრაქტიკულ ცოდნით. ამაში დარწმუნებული უნდა იყოს ყოველი, ვისაც თვალი სახედველად აქვს და თავი მსჯელობისათვის. უცხო ქვეყნებ შორის უფრო იმისთანა ქვეყნები უნდა აირჩიოს ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომელნიც ჰგავს ჩვენს ქვეყანას ნიადაგის ვითარებით, ჰავით და სხვა თვისებით. ამ მხრივ უფრო იტალია და საფრანგეთია საინტერესო ჩვენთვის. როდესაც ჩვენში ვისმეს საზღვარ-გარედ ჰგზავნიან, შემოღებულია ნება-ყოფლობით ფულის შეგროვება საზღვარ-გარედ წამსვლელის სასარგებლოდ. ერეკლეს ფონდსაც ამ დანიშნულებას აძლევენ, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ფონდი რაღაც უღონო შეიქმნა. დიდად სასურველია, ეს ფონდი გადიდდეს შეძლებისა და გვარად და მოხმარდეს იმ ყმაწვილებს, რომლებსაც არ გაუთავებიათ მაღალი სასწავლებელი რუსეთში და აქეთ-კი სურვილი რაიმე პრაქტიკული ცოდნა შეიძინონ. ამასთანავე არ შეგვიძლიან არ განვიმეოროთ ის რჩევა, რომელიც უძღვნა პატივცემულმა პროფესორმა პეტრიაშვილმა ჩვენს თავად-აზნაურობას ბანკიდგან დასაბრუნებელ ფულის მოხმარების შესახებ. მართალია, დიდად სასარგებლო იქმნება, რომ უმეტესი ნაწილი ამ ფულისა მოხმარდებოდეს იმ ყმაწვილებს, რომლებიც მოისურვებენ შესწავლას ზემოდ დასახელებულ პრაქტიკულ საგნებისას ევროპაში, მაგრამ ვიდრე ეს გადაწყდება და ფული დაუბრუნდება თავად-აზნაურობას, დიდი დრო გაივლის და ეხლაც დროა ჩვენი საზოგადოება შეუდგეს მოქმედებას. ეხლავეა სასურველი შეუდგეს საზოგადოება, რომელსაც აზრად უნდა ჰქონდეს პრაქტიკულის ცოდნის გავრცელება ჩვენში იმ ახალგაზრდობის წყალობით, რომელსაც გაჰგზავნის ეს საზოგადოება საზღვარ-გარეთ. ვიმეორებთ, დიპლომიანების გაგზავნა საზღვარ გარეთ სრულიადაც არ უნდა ჰქონდეს აზრად ამ საზოგადოებას. დიპლომიანების საზღვარ გარეთ გასვლას (უფრო უნივერსიტეტს ვგულისხმებ) ერთი მნიშვნელობა აქვს და იგია მეცნიერების საფუძვლიანად შესწავლა. ამგვარ სწავლას ნიადაგი უნივერსიტეტსა, ან სხვა რომელსამე სამეცნიერო დაწესებულებაში უნდა ჰქონდეს და ჩვენ ხომ არც ერთი არა გვაქვს. მეცნიერებას უფრო განყენებული ხასიათი აქვს, იგი იქაა კარგი, სადაც ნიადაგია მომზადებული, ან შესაძლოა ნიადაგის მომზადება და ამ ნიადაგის მოსამზადებლადაც საჭიროა უპირველესად პრაქტიკული ცოდნა, რომელიც შეძლების შემქნელია. იმის ცოდნა, რაც უფრო ხელ-სადებელია, რითაც სული ედგა წინაპარს და დღესაც გვიდგია სული, ჩვენთვის უფრო საჭიროა. ესაა მიწა-წყალი, ეს ჩვენი ერთად-ერთი შემაერთებელი ძალა. ამ მიწა-წყალს სულ ახალის წესით უნდა შემუშავება, რადგან მამა-პაპისეული წარმოება საქმისა დღეს აღარას გვარგია.

დიაღ, ჩვენი ხსნა პრაქტიკულს ცოდნაშია და არა თეორიებში, ჩვენი შველა მოხელეობაში არ მოიპოვება. იგი საკმარისად უსუსტებს ადამიანს ძალას, მხნეობას, უსუსტებს საზოგადოებრივს ინსტიქტს, რადგან სხვისაგან დამოკიდებულია და ამ გარემოებაში გამოყვნელი პირობაც-კი ბლომად არის, თუ დღევანდელს ცხოვრებას მაინც მივიღებთ მხედველობაში.

ე. ვაზაკიძე

ოლქის სასამართლოში, რადგან ბრალმდებელმა საჭიროდ დაინახა, რომ ეს საქმე გამოძიებულ იქმნას ხელმეორედ ახლად აღმოჩენილ საბუთების მიხედვით.

### გამოსადეგი ცნობა

ვისაც უნდა ხორცი შეინახოს გაუფუჭებლად რამდენსამე დღით, ამ საშუალებას უნდა მიჰმართოს: ხორცი რამდენსამე ნაჭრად უნდა დასჭრას, ისე რომ თითო ნაჭერი 3—4 გირვანქას არ აღემატებოდეს, ეს ნაჭრები თიხის ან ხის ჭურჭელში ჩააწყოს, ოდნავ მარილი მოაყაროს და ერთი ან ორის თითის სისქედ ნახშირის ფხვნილი დააყაროს. როდესაც ასე შენახული ხორცი სახმარებლად მოუნდებათ, იგი კარგად უნდა გაირეცხოს, რომ ნახშირი მოსცილდეს. ხორცი იმდენად კარგად ინახება, რომ ახლად დაკლულის საქონლის ხორცისაგან არაფრით განირჩევა.

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო რუსული წიგნი: „Новая постановка педагогическаго дѣла въ учебныхъ заведеніяхъ“, შედგენილი ი. როსტომაშვილის მიერ. წიგნი შეიცავს 35 გვ. და 20 კაპ. ღირს.

### მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის ჩვეულებრივი კრების გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ მე-87 და 88 №№-ში ბ-ნი —ძე—ი მოგვითხრობს ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წლიურ კრების ამბავს.—ჩვენის აზრით, იგი მკითხველ საზოგადოებას ვერ წარმოუდგენს ნამდვილ სურათს კრებისას და, ყოველ შემთხვევაში, ცუდს აზრს შეადგენინებს თითონ საზოგადო კრებასა და ამხანაგობის მმართველობის უმაღლესს ორგანოზედ.

ნათქვამია,—„ჩემი თავის ტკივილი ბენჯლეთსო“, ან რუსულად რომ ითქვან: съ больной головы да на здоровую“-ო, სწორედ ისე მოსდის კრებას ბ-ნ —ძე—ის მოთხრობით. როცა ის ალაპარაკებს ბ-ნს ი. ქუთათელაძეს: „ეს მეოთხე წლიური კრებაა დღეს და სულ ასე არეულ-დარეულობა იყო ყოველს კრებაზედ და საქმის შესახებ-კი სიტყვას ვერ ვახერხებთ და ვერ ვასწრებთო“ ბოლოს, თითქოს მართლა არეულობა-რამ მომხდარიყოს, ამბობს, სულ თავმჯდომარემ მოსპო კრებაო, მკითხველი მალა-უნებურად იფიქრებს, —ალბად კრებას ვერ დაუცავს თავისი ღირსება, ვერ შეუგნია თავისი მოვალეობაო. აი სწორედ ეს აზრი გახლავთ შემცდარი ამხანაგობის ყველა მოკეთეთა სანუგეშოდ და სწორედ ამან გვაიძულა ამოგვეღო ხმა.

ადვილად შეიძლება, რომ წლიური ანგარიში უფრო კრცელი შესდგეს, ვიდრე ჩვენ ამ ჟამად შეგვიდგენია; ისიც შესაძლებელია, რომ იმ ანგარიშის ზოგიერთი წვრილმანი ერთის თვალის გადავლებით გაუგებარი იყოს ზოგთათვის; ისიც შეიძლება, რომ კრებამ, ხელ ახლად გადაუსინჯავად, უფრო ვრცელი ანგარიშიც არ დაამტკიცოს, როგორც შესაძლებელია სრულიად ამისი წინააღმდეგიც,—მაგრამ თითოეულ წევრს კრებისას, თუ გინდა იგი თავმჯდომარეც იყოს, რა უფლება აქვს არ გაუგონოს კრებას, იმისს მსჯავრს ამა თუ იმ გადასაწყვეტ საგნის შესახებ არ დაემორჩილოს? ნუ თუ კრება თავისს პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებს, როცა ის, ხმით იქნება, ხელის აწევით, თუ კენჭის ყრით, თავისს აზრს ერთხმად გამოსთქვამს რომელისამე საგნის შესახებ?! თუ ეს დანაშაულია, აი სწორედ ეს „დანაშაულობა“ ჩაიდინა ზემოხსენებულმა კრებამ. ბ-ნ კორესპონდენტს არ დაუსახელებია, თუ რა „არეულ-დარეულობაა“ მოახდინა კრებამ, მაგრამ რა უნდა ეთქვა, როცა იქ ისეთი არა მომხდარა რა. კრებამ მოუსმინა ყველას, ვისაც რა სათქმელი ჰქონდა და თითოეულს თავის პასუხი გასცა საერთო ხმით, რომელსაც ბ-ნი —ძე—ი „ხმაურობას“ უწოდებს. გარეგანი წესიერებაც არ დაურღვევია კრებას. ყველანი მშვიდობიანად იყვნენ. საყურადღებოა, რომ არა მცირე ნაწილს კრებისას ქალები შეადგენდნენ.

როცა თავმჯდომარემ კრება შეჩერებულად გამოაცხადა, კრება არ დაშლილა: მან მოიაზრა როგორც მოქცეული და გადასწყვიტა ეთხოვა თავმჯდომარისათვის, რომ მას თავისი ადგილი დაეჭირა და კრება განეგრძო. როცა მისგან ამის უარი მიიღო, კრებამ იფიქრა ახალის თავმჯდომარის არჩევა, მაგრამ ამის წინააღმდეგი კიდევ ამხანაგობის მმართველობა გახდა; მაშინ კრებამ სრული ნდობა გამოუცხადა ამხანაგობის მმართველობას და შეჰპირდა ამხანაგობის მმართველს ჩვეულებრივი ნოტარიუსის წესით მინდობილობის ქაღალდის მიცემას და სხვა. საიდგან სჩანს აქ, რომ კრება არეულ-დარეულიყოს და თავისა და ბოლოსი ვერა-რა გაეგოს? როგორც ამ კრებაზედ, ისე არც ერთ წინა კრებაზედ იმას არ უღალატნია ამხანაგობის ინტერესებისათვის, არ მორიდებია ვერძო გაცს, ოღონდ-კი ამხანაგობის ინტერესები დაეცულიყო. საკმაოა გავიხსენოთ მეორე ჩვეულებრივი კრება ამხანაგობისა, რომელმაც გამოსცვალა მაშინდელი სარევიზიო კომისია და აირჩია სამის ნაცვლად ექვსი წევრი ახალ სარევიზიო კომისიაში სწორედ იმათგან, ვინც თხოულობდა, რომ ანგარიში 1896 წლისა არ დამტკიცებულიყო ახალის კომისიის შეუმოწმებლად და სწორედ ასეც მოხდა.

ბ-ნი კორესპონდენტი თავისს საკუთარს აზრს კრების შესახებ არ უმჟღავნებს მკითხველს, თითქოს ერიდებოდეს ბ-ნს ი. ქუთათელაძეს, რომელიც ერთის ხელის მოსმით მთელის ოთხის წლის კრებებს ერთს ტაფაში ჰხრაკავს, როგორც საქმის შეუგნებლებს, და ურჩევს სამერმისოდ წარმომადგენლთა კრებების შემოღებას ისე, რომ ათის კაცისა ერთი იყოს წარმომადგენელი და სხ. ცხადია, რომ ბ-ნი —ძე—ი მოუხიბლავს ი. ქუთათელაძის ამ „პროექტს“, თორემ ის უფრო თამამად გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ იმ დღევანდელი კრება უდანაშაულოდ დაისაჯა და ამხანაგობის ინტერესებიც აბუჩად აგდებულ იქმნა თითო-ოროლა კაცის მეოხებით, რომელთაც წაიყვანეს თავმჯდომარე და ხმა გააწყვეტინეს, როცა მან, კრებისაგან მოწვეულმა, დაპირუნება განიზრახა კრების განსაგრძობად. „შეისრულეს გულის წადილიო“, ჰბრძანა მაშინ ი. ქუთათელაძემ, მაშასადამე, იმასაც გაუგებარი არ უნდა დარჩენოდა ი. ქუთათელაძისაგან, თუ ვისი გულის წადილი შესრულდა იქ მომხდარ არასაკადრის საქციელით და რამდენად დამნაშავე იყო თითონ კრება.

ნ. წერეთელი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მაისი

**პარიჟი.** სენატი. მუდომ ფოსტალიონების მიერ მუშაობის აღკვეთის შესახებ განაცხადა იგივე, რაც დელომბრმა და დიუპუიმ პალატაში განაცხადეს. ჩამოთვალა რა ზომები იქმნა მიღებული და სთქვა, იმედი მაქვს, რომ კრიზისი მალე მოისპობაო.

**პარიჟი.** პიკარის ვექილმა მთავარ-ბრალმდებელს სთხოვა, რომ პიკარი დროებით განთავისუფლებულ იქმნას.

**პარიჟი.** მუდომ, პოლიციის პრეფექტმა ბლანმა და სენის დეპარტამენტის ფოსტათა დირექტორმა გადაწყვიტეს გამოუცხადონ ფოსტალიონებს, რომ თუ ხვალ მუშაობა არ განაახლეს, დათხოვნილ იქმნებიან.

**პარიჟი.** მუდომ ზომები მიიღო წერილების დასარიგებლად. ზოგიერთ დაწესებულებათ თავიანთი კაცები დაუთმეს მუდოს წერილების გადასარჩევად. დაარიგებენ წერილებს ჯარის-კაცები. თუ პალატაში ლაპარაკი აღძრა ვინმემ ამის შესახებ, მთავრობა განაცხადებს, რომ რადგანაც ფოსტალიონები სამსახურში ითვლებიან, მათი მეთაურები დათხოვნილ იქმნებიანო.

**პარიჟი.** პალატა. დიდი აღელვება. ზოგი დეპუტატი შეეკითხა ფოსტალიონების მიერ მუშაობის აღკვეთის შესახებ. პალატამ გადაწყვიტა, ეხლავე შეუდგეს ამ საგნის განხილვას. ბოდრი-დ' ასონმა იკითხა, მთავრობას აზრად რა ზომები აქვს მიღებული. სერმა განაცხადა, რომ მუშაობის აღკვეთა ხელს უშლის ვაჭრობასაო. დელომბრმა მიუგო, რომ წერილებს საღამოდგანვე დაურიგებენო.

**ჰააგა.** აი სიტყვა, თქმული დე-ბოფორის მიერ კონფერენციის დროს: „უავგუსტოესის დედოფლის სახელით, მაქვს პატივი მოგესალმოთ და გამოვაცხადო მადლობისა და ღრმად პატივისცემის გრძნობანი სრულიად რუსეთის იმპერატორის მიმართ, რომელმაც დიდი პატივი სცა ჩვენს ქვეყანას. რუსეთის იმპერატორმა. რომელსაც მთელი განათლებული ქვეყანა ტაშს უკრავს. მოისურვა განხორციელება იმპერატორის ალექსანდრე I-ის სურვილისა, სახელდობრ იმისა, რომ ევროპის მეფენი და ხალხნი კარგს მეგობრულს განწყობილებაში იყვნენ, რომ ერთმანეთს გაჭირვებაში ჰშველოდნენ. აღფრთოვანებული თავისის უავგუსტოესის წინაპრის კეთილ-შობილურის ნაანდერძევით, მისი უდიდებულესობა ურჩევს აქ შეკრებილთ, სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, გამოსძებნონ რამ საშუალება, რათა საზღვარი დაედოს განუწყვეტელ შეიარაღებას და თავიდგან აიცდინოს უბედურება, რომელიც მთელს ქვეყანას მოელის. დღე კონფერენციის კრებისა, ექვს გარეშე, ამ საუკუნის შესანიშნავ დღედ იქმნება ჩათვლილი“.

„მისმა უდიდებულესობამ, ჩემმა უავგუსტოესმა დედოფალმა, მოისურვა თქვენს განკარგულებაში ჰყოს უპირველესი ისტორიული ნაშთი. ის დარბაზი, სადაც თქვენ დღეს ბრძანდებით, გამშვენებული მე-17 საუკუნის საუკეთესო მხატვრების მიერ, აგებულია პრინც ფერდინანდ-ჰენრიხის ქვრივის მიერ. ამ დარბაზის სურათთა შორის, არის ერთი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, სახელდობრ, ის, რომელიც შემოსასვლელ კარებს ზემოდ არის დახატული. გამოსახულია „მშვიდობიანობა“. ჩემის აზრით, ეს ალლეგორია მშვენიერი აღმნიშვნელია თქვენის შრომისა. ამ შრომის დამთავრების შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ „მშვიდობიანობა“, რომელიც ხელმწიფემ ამ დარბაზში შემოიყვანა, გავიდა აქედგან იმ აზრით, რომ კაცობრიობას კეთილ-დღეობა მოჰფინოს“.

**პარიჟი.** მუდომ შეატყობინა ფოსტალიონებს, ვინც ეხლავე მუშაობას არ განაახლებთ, ადგილს დაჰკარგავთო. ამ საშუალებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. დღეს, ნაშუადღევს, შეტაკება მოხდა ფოსტამტთან. გარდაწყვეტილ იქმნა რომ წერილების დატარება ჯარისკაცებს მიანდონ. როდესაც ეს ჯარისკაცები საფოსტო ეტლებით ფოსტამტიდგან გამოდიოდნენ, ფოსტალიონებმა გზა შეუკრეს, ამის გამო იმათ და პოლიციის შორის ჩხუბი მოხდა. რამდენიმე პოლიციელი დაჭრილ იქმნა.

**პარიჟი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღე დიდის ამბით იდღესასწაულეს. საელჩო ეკკლესიაში, სხვათა შორის, იყვნენ: დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის ძე, რესპ. პრეზიდენტის წარმომადგენელი გენერალი ბილიო, მინისტრი დელკასე, გენერლები, ადმირალები, სამხედრო და საზღვაო მინისტრების წარმომადგენლები.

**პარიჟი.** პალატა. დიუპუიმ განაცხადა, ნებას არ მივცემთ, რომ იმათ მუშაობა აღკვეთონ, ვინც სახელმწიფო სამსახურში არიან. (ტაშის ცემაა). თუ ფოსტალიონებმა, სთქვა შემდეგ მინისტრმა, მუშაობა არ განაახლეს, იმათ ადგილას სხვებს დავნიშნავთო. მთავრობა არავის მოთხოვნილების წინაშე არ მოიხრის ქედსაო. (ტაშის ცემაა და „ვაშას“ ძახილი გაისმის, რომელსაც მაღალის ხმაურობით არღვევენ მემარცხენენი). კამათი დასრულდა. პალატამ, 400 ხმით 177 ხმის წინააღმდეგ, უარჰყო სოციალისტის მილიერანის ფორმულა, რომელშიაც ნათქვამია, ვწუხვართ, რომ არ იქმნა ასრულებული ის, რასაც ფოსტალიონებსდა ჰპირდნენო. შემდეგ 388 ხმის უმეტესობით 112 წინააღმდეგ, მიღებულ იქმნა ფორმულა, რომლითაც პალატა იწონებს მთავრობის დეკლარაციას. ამასთან ამ დროს ვილაცამ დაიძახა „გაუმარჯოს საყოველთაო შეთქმულობას“-ო.

**ბერლინი.** ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს საელჩო ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო ღვთის-მსახურება.

7 მაისი

**ბრიუსელი.** დღეს, საღამოთი, 300 კაცისაგან შემდგარი ბრბო სამხედრო საკრებულოს წინ შეიკრ[ა]... ბრბო დრეიფუსისა და პიკარის მა[ს]თ „ვაშას“ გაიძახოდა. „საკრ[ე]ბულოს“ ქვები დაუშინეს. სამი [კა]ცერი დაჭრილ იქმნა.

**პარიჟი.** ყველა ფოსტალიონ[მა] გარდასწყვიტეს მუშაობა განაახლ[ონ].

**პეკინი.** დღეს ჩინეთის ორ[ი] დირექტორებმა და ინგლის-გე[რმა]ნიის სინდიკატის წარმომადგენე[ლ]მა ხელი მოაწერეს ხელშეკრულ[ებას] ტიან-ძინ-ჩინგ-კიანგის რკინის გ[ზის აშე]ნების შესახებ.

**ჰააგა.** დედოფალი და დედო[ფალი] დოფლისა ორშაბათს მოვლენ სამშაბათს, კონფერენციის წევ[რთა] პატივსაცემად, საღამოს გამარ[თავენ] სასახლის დიდს დარბაზში.

**კონსტანტინეპოლი.** გარეშე [საქმ]ეთა სამინისტროში მინისტ[რის] ტევფიკ-ფაშის თავმჯდომარეო[ბით] შესდგა კომისია. კომისიამ უნდა [გა]ნიხილოს საგანი მცირე აზიის [ვი]ლაეტებსა და იმპერიის სხვა ად[გი]ლებში ობოლთა სახლების დაარ[სე]ბის შესახებ.

**კოპენჰაგენი.** ერვარდ ბრანდ[ესს] სამართალში იქმნა მიცემული უზნ[ეო] თხზულების გამოქვეყნებისათვის.

**კონსტანტინეპოლი.** სულთა[ნმა] უბოძა ორდენი „იმტიაზი“ გარ[ეშე] საქმეთა მინისტრის ამხანაგს და [...] მეხთა საერო კომიტეტის თავმჯდ[ო]მარეს არტინ-ფაშა დადიანს.

### „ივერიის“ ფოსტა

—

**დ. ძ. ს—ძი. ს. გ. უ—იანს.** თქ[ვენს] მიერ გამოგზავნილი განცხადება პარას[კევს] მივიღეთ და აღარ დავბეჭდეთ, რადგან [და]გვიანებული იყო.

**ა. გერასიმეშვილს.** არ დაიბეჭდება.

**ძ. ძ—ხი. ი. ხ—ძეს.** ჰორები პასუ[ხის] ღირსად არა ჰღირს და რომ ჰღირდეს [კი]დეც, თვით შ—შეები შეიძლებენ ჯერო[ვან] პასუხის გაცემას.

**მ. უ—შვილს.** „დამაკვირდები“ არ [და]იბეჭდება.

**ბ ნს ახოსპირელს.** არ დაიბეჭდება.

**ჯოჯოხეთელს.** არ დაიბეჭდება.

**სოფ. კ—ლი. ლ. კ—ძეს.** არ დაი[ბე]ჭდება.

**მეგრელი—შვილს.** არც ერთი არ [და]იბეჭდება.

**ჯოჯოხეთელს.** არ დაიბეჭდება.

**ს. ჭ—ში. ერაჯს.** მაგ შინაარსის [წე]რილი უკვე იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ[ი].

**ა—ე რ—ძეს.** არ დაიბეჭდება, არა.

**ძ. და ჩ—ს.** ჯერ ერთი, სადა გა[...] სოფლის რწმუნების წერილი, თუ სოფე[...] მოგანდოთ მაგ წერილის გამოგზავნა, [მე]რე თუნდა გქონდეთ კიდეც, თქვენს „[და]ვიანებულს პასუხში“ ხომ თქვენვე აღიარე[თ] მამასახლისის უვარგისობას, მაშ რაღად გ[ვა]წუხებთ?!

## განცხადებანი

### ქ ოზურგეთში

ზაიაშეთის ქუჩაზედ

ისყიდება კარგი ქვითკირის სახლ[ი] 1700 საჟ. ეზოთი, სადაც ჩინებ[ულ]ი წყაროა. ბანკის ვალი 250[0] მ. ხელად მისაცემი 6000 [მ.] წლის შემოსავალი სამხედრო მმარ[თ]ველობისაგან 1000 მ. იკითხე[თ] ცნობის შესატყობ დიდებულიძ[ის] კანტორაში, ბარიათინსკის ქუჩა № [...]

(3—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Мая 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე